№ 193

წელიწადი მეორე | ფასი 5 კაპ. | ოთხშაბათი, 31 მარიამობისთვე 1916 წ. | № 193

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრ[illegible] რედზე პეტიტით, ღირს 15 კ., [illegible] —10 კ., [illegible] დებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 5 მ.; 20×2 ღირს 7 მ., 25×2 ღირს 8 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ელ. 1 მ. მეტი.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უვადოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**ვადიანებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 8 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **ხანდრო შანშიაშვილი.**

ღრმად დამწუხრებულნი დედა, მამა, დები და ძმები საბაევნი, აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, 9 ამა თვეს ჭრილობისაგან დასავლეთ ფრონტზე გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

## პრაპ. ანტონ ნიკოლოზის ძე
## ს ა ბ ა ე ვ ი

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 31 მარიამობისთვეს დილის 11 საათზე კათოლიკეთა სასაფლაოზე.

(1—313—1)

## სასცენო სტუდია ს. ნ. ვორონოვისა
## ქართულსა და რუსულს ენაზე

| | | |
|---|---|---|
| I განყოფილება | — | დიქცია და დეკლამაცია. |
| II „ | — | პლასტიკა და გიმნასტიკა. |
| III „ | — | თეატრის ისტორია. |
| IV „ | — | ესტეტიკა. |
| V „ | — | პრაქტიკული მეცადინეობა. |

ცნობების მიღება შეიძლება ოთხშაბათ-კვირაობით, საღამოს 6—7 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში. ტელეფონი 8—43.

(თ.—230—4)

**პირველ ხარისხოვანი რესტორანი**

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

**სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.**

**ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია**

**ყოველ დღე მზადდება**

| | |
|---|---|
| საუზმე | ჩაი |
| სადილები | ყავა |
| ვახშმები | ხაჭაპური |
| | პიროჟკები |

**ადგილობრივი და უცხოური ხაჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.**

პატივისცემით **ხილ. ს. გიგიბერია.**

## ახალი მელანი
## კოტე ონიკაშვილისა

**მელანი ასლის ახალგაზდაც („კაპიროვკისთვის“) კარგია**

**დავამზადე მელანი და ვყიდი შემდეგს ფასებში**

ვინც 20 მანეთზე მეტს გამოიწერს ფლაკონით ელირება 1 მ. 20 კაპ.

ფუთი უბრალო შუშით 40 მან.

**სანიმუშო მელანი ფას დადებით გაეგზავნებათ.**

**მსურველს მივაწვდი ჩემის მელნის ნიმუშს**

**მისამართი: ქ. თელავი, კოტე ონიკაშვილი.**

ღ ვ ი ნ ი ს ს ა წ ყ ო ბ ი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

**იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი**

## კახური ღვინო

**განოვის ქუჩა № 4.**

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

## საუკეთესო კახური
## ღვინის საწყობი
## ადამ ზურაბის ძის
## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131. საზაფხულო შენობა)

**ოთხშაბათს, 31 მარიამობისთვეს**

ქართულ დრამატიულ მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქნება

## ადვოკატი მელაძე

კომ. 2 მოქ. თავ. ი. მაჩაბელისა.

წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

სტუმრები შედიან საზოგადო წესით.

(1—237—1)

## სავაჭრო სახლი
## „ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

**ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ პირველ ივნისიდან ამა 1916 წ. თავის** საწყობში წვრილად გაიყიდება

## ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო

**პირველ გიმნაზიის უფროს კლასის მოწაფე**

## ამზადებს მოწაფეებს

გიმნაზიის მეხუთე კლასამდე და საშუალო სასწავლებელში მისაღებად.

**მისამართი:** გაბაევის შესახვევი № 1. მოლაპარაკება შეიძლება 11 საათ-ან 1 საათამდე. (2-312-2)

**ე ქ ი მ ი**

## მ. ი. ვარნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. **ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის** გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**

**ე ქ ი მ ი**

## ა. დ. შაჰაბაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**დ. ზესტაფონში**

## ე ქ ი მ ი
## დ. პ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

## ახალი აფთიაქი

**პროვიზორის ახვლედიანისა**

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოზის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის 15-დან**

## იღებს მანგლისში

კორპუსის ბანაკში

**ექიმი-დოსტაქარი**

## გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

**ე ქ ი მ ი**

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და** იღებს **შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს:** გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

## „საქართველოს“ მკითხველისადმი

ჩვენი გაზეთის მკითხველმა უწყის, რომ „საქართველოს“ ორი წყარო აქვს არსებობისათვის. პირველი და უმთავრესია, წყარო გაზეთის ჩვეულებრივი შემოსავალი ე. ი. ის თანხა, რომელიც ხელის მოწერისა, ხელზე გაყიდვისა და განცხადებებიდან შემოდის, მეორე კი ის საგანგებო თანხა, რომელიც ჩვენ იდეურ თანამგრძნობებში იკრიფება დროგამოშვებით. ორივე ზემოთ მოხსენებული თანხა განსაზღვრულია და ველარ ასდის გაზეთის ჩვეულებრივ ხარჯს. ეს უკანასკნელი საოცარი სისწრაფით იზრდება ბოლო დროს. ცხოვრების საერთო გაძვირებამ, გაზეთის მასალისა და მუშახელის გაძვირებაც გამოიწვია. თუ ერთი ოზმა (500 ფურცელი) ქაღალდი ომის დაწყებამდე 2 მან. 40 კაპ. ღირდა, დღეს 11 მანეთი ღირს, სტამბის და ასოთამწყობების საფასური, რომელიც წინათ 25 მანეთს უდრიდა, დღეს 48 მანეთს უდრის. როგორც სატახტო, ისე ადგილობრივი ბეჭდვითი ორგანოები იძულებული გახდნენ გაზეთის ფასი მოემატებინათ ან ფორმატი შეემცირებინათ. ფასი მოუმატეს იხეთმა გაზეთებმაც კი, რომელთაც საკმაოდ ხანგრძლივი წარსული აქვთ და ფეხმომაგრებულნი არიან ქონებრივად. „საქართველო“ ახალგაზრდა ორგანოა, კერძო კაპიტალს მოკლებულია, საზოგადოებრივი დახმარებითა და თანაგრძნობით სცოცხლობს და მით უმეტეს ესაჭიროება შემოსავლის წყაროს გაძლიერება. გამომცემლობა და რედაქცია ბოლო დრომდე წინაალმდეგი იყო გაზეთის ფასის გადიდებისა, მიტომ, რომ მათ მიზანს იმთავითვე მკითხველი საზოგადოებისთვის იაფ ფასად გონებრივი საზრდოს მიწოდება შეადგენდა. მაგრამ გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ხანგრძლივად ძველი პირობების შენარჩუნება შეუძლებელია. ამიტომ გადავწყვიტეთ გაზეთის ფასს მოვუმატოთ პირველ ენკენისთვიდან. ამ დღიდან გაზეთი „საქართველოს“ ჩვეულებრივი ნომერი ყველგან 7 კაპ. ელირება, დამატებიანი კი 10 კაპ. თვიურ ხელმომწერლებს 1 მან. 20 კაპ. გადახდებათ. ძველი ხელმომწერლებისათვის, რომელთაც ფული სავსებით, ან ნაწილად აქვთ გადახდილი, პირობები უცვლელი რჩება, მიმდინარე წლის დასასრულამდე.

**თბილისი, 31 მარიამობისთვე.**

**კიდევ სიმშილის წინაშე.** საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან ცნობა მოდის, მოსავალი ნაკლებია და ხალხს კიდევ სიმშილი მოელისო. მოსავლის ნაკლებობამ ისეთ რაიონებში იჩინა თავი, რომელნიც ქებული იყვნენ თავიანთ ნაყოფიერობით. გორის მაზრას ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, იგი საქართველოს ბეღლად ითვლებოდა. და დღეს გორის მაზრის აგრონომი ბ-ნი ფალავანდიშვილი ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ატყობინებს, გორის მაზრაში ცუდი მოსავალია; ზოგან დღიურზე მხოლოდ ორი კოდი ხორბალი-ღა მოიწიეს; ურწყავ ადგილებში სიმინდს ტარო ვერ გამოუღია და ბევრი შიგ საქონელს აძოვებს, რადგან ჩალათაც არ შეინახებაო. სათესლე ხორბალს მაზრაში ეხლავე დაეძებენ და ფუთ ხორბალში სამ მანეთს იძლევიან, ფუთ ქერში 2 მ. 40 კაპეიკსაო. იმავე ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას საქართველოს სხვა ადგილებიდანაც მოსდის თხოვნა—გვიშველეთ, სათესლე ხორბლეულობა მოგვაწოდეთო. თქმა არ უნდა, მეტად სამწუხარო მოვლენასთან გვაქვს საქმე. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში დამშეულ ქვეყანას მომავალშიც სიმშილის პერსპექტივა უდგას თვალწინ. იმედიც არ არის, ამ მხრივ მას ახლო მომავალში რაიმე ეშველოს. რაც დრო მიდის, სოფელს მუშა ხელი უფრო და უფრო აკლდება, დაუმუშავებელი ადგილის რაოდენობა თან და თან იზრდება, დამუშავებულს—მოვლა და პატრონობა არ აქვს. ყოველივე ეს საერთო ქრონიკული სიმშილის უტყუარ პირობებს განამზადებს. წინა წლების სიმშილობით ხალხის დასუსტებული და გამოფიტული ორგანიზმი მეტად ხელსაყრელ ნიადაგს წარმოადგენს სხვა და სხვა მავნე ბაცილისა და მიკრობის მოსაშენებლად. ამისთვისაც არის, რომ სიმშილობას ყოველთვის სენი და ფათერაკი მოსდევს. და გასაკვირად არ უნდა დაგვირჩეს, თუ ჩვენს ხალხშიც რაიმე სენმა ფეხი მოიკიდა და მცხოვრებთ მუსრი გაავლო. შექმნილი მდგომარეობის წყალობით მთელი ქვეყნის ფიზიკური არსებობა და მომავალი საფრთხეშია ჩავარდნილი. ამ საერთო მოვლენის წინაალმდეგ საბრძოლველად საერთო, წმინდა სახელმწიფური ღონისძიებაა მისაღები. მაგრამ სახელმწიფოს შინაური საჭიროებისთვის არა სცალიან, მთელი მისი ყურადღება დღეს სხვა მხარეს არის მიქცეული. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივ ტკივილებისა და საჭიროების მოგვარება კერძო საზოგადოებას მართებს. უნდა ითაოს ეს საქმე და ამ თავიდან სათანადო თადარიგი დაიჭიროს.

ქართველი საზოგადოება კი ძალიან გულგრილად შეჰყურებს ქვეყნის ქრონიკულ დამშევას.

თუ მას რამ გაუკეთებია ამ სფეროში, ამასაც შემთხვევითი ხასიათი ჰქონია. ცხადია, ამ გზით მდგომარეობის შველა არ შეიძლება. აქ საჭიროა უფრო მიზანშეწონილი და სისტემატიური საქმიანობა, რომლის გარშემო უნდა შემოკრბეს ყველა ცოცხალი და მომქმედი ელემენტი.

## სომხეთა უფლებების გაუქმება

ოსმალეთის ქვეშევრდომი სომხობა ომის დაწყებისათანავე აუჯანყდა ოსმალეთის სახელმწიფოს და რუსეთის თანამოძმე სომხობასთან ერთად იარაღით ხელში მას შეებრძოლა. როგორც მოსალოდნელი იყო, ღალატისათვის ოსმალეთის მთავრობამ აჯანყებულ ქვეშევრდომების წინაალმდეგ რეპრესიული ზომები მიიღო. უფრო-კი თვით უბრალო მკვიდრმა ოსმალომ შური იძია და სომხების წინაალმდეგ ღალატისათვის და მათ საკუთრივ უსწორდებოდა. სომხების აწიოკებამ სტიქიური ხასიათი მიიღო. რომ რუსეთის ჯარს კავკასიის საზღვრის გადმოლახვის უმალ საშუალება არ ჰქონოდა ადგილობრივ დაყრდნობოდა მის „მოკავშირე“ ელემენტს და ფეხი მაგრად მოეკიდა, ოსმალეთის მთავრობა შეუდგა სომხების აყრას და მათ გადასახლებას მესოპოტამიასა და შორეულ ქვეყნებში. ვინც ამ აწიოკება-გადასახლებას გადაურჩა, მან რუსეთს მოაშურა და თავი შეაფარა. თვით ოსმალეთში, სადაც ნამდვილი სომხეთია მოქცეული, სომხის ელემენტი მეტად შემცირდა დასახელებული მიზეზების გამო. ოსმალეთის მთავრობა მთელი ამ ორი წლის განმავლობაში კმაყოფილდებოდა ადგილობრივ ხასიათის რეპრესიულ ზომების მიღებით, ხოლო ხელი არ შეუხია სომეხთა საერთო პოლიტიკურ-კონსტიტუციურ უფლებებისთვის. არ უნდა გავიკვირვოთ ეს სიტყვები. კონსტიტუცია ამ დესპოტიურ ოსმალეთში. ნახევარი საუკუნეზე წინად ოსმალეთის დესპოტიურმა მთავრობამ თავის სახელმწიფოს ფარგალში სომხის ერს ეროვნულ-პოლიტიკური კონსტიტუცია მიანიჭა.

საერთოდ, ოსმალეთი შევრდომით ეპყრობოდა იმ თავითვე სომხთა ეკლესიას. კონსტანტინეპოლის დაპყრობის (1453 წ.) შემდეგ ოსმალეთის მთავრობამ „ერმენი მილეთი“—სომხის ხალხი—შეაერთა ერის საეკლესიოპოლიტიკურ სხეულში. სომეხთა ეს საეკლესიო-პოლიტიკური სხეული დაექვემდებარა სომეხთა კონსტანტინოპოლის პატრიარქს. ამგვარად, საერთოდ სომეხთა ეკლესიას და კერძოდ მათ პატრიარქს დიდი პოლიტიკურეროვნული მნიშვნელობა და ხელმწიფება მიეცა. მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებამდე სომხის ეკლესია და პატრიარქი მიუძღოდა ოსმალეთის სომხობის საქმეებს [illegible] შეძლების ფარგალში აგვარებდა მის ეროვნულ საჭიროებას. ორმოციან წლებში, სხვა და სხვა მიზეზის გამო, ძალზედ შეირყა იერარქიული წესები და პატრიარქი იძულებული შეიქმნა თავის ხელმწიფება გაენაწილებია საერო წოდების 12 კაცისაგან შემდგარ საბჭოსთვის.

ოსმალეთის მთავრობამ შეიწყნარა ის ვითარებაც, რომ ოსმალეთის სომხობის სარწმუნოებრივ-საეკლესიო ცხოვრების უმთავრესი მომწყობი ორგანო (სინოდი) და პირი (კათალიკოსი) სხვაგან ყოფილიყო, ეჩმიაძინში და რომ, მაშასადამე, სომეხთა კათალიკოზის საშუალებით, რომელიც სულ ერთიანად რუსეთის მთავრობის ხელშია, რუსეთს შეძლებიყო გაეძლიერებინა თავისი გავლენა გრიგორიანთა ეკლესიაზე და ამით მთელ ოსმალეთის სომხობაზე.

ეს ძნელი შესაწყნარებელი საქმე იყო. მთელი გრიგორიან სომეხთა რელიგიური სინიდისის უმაღლესი მბრძანებელი, ეჩმიაძინის კათალიკოზი, რომელსაც ირჩევს ეჩმიაძინისავე სინოდი, რუსეთისა და უცხოეთის ყველა სომხური ეპარქიის დეპუტატების თანამონაწილეობით, საბოლოოდ უნდა დაამტკიცოს რუსეთის ხელმწიფეიმპერატორმა. აშკარაა კათალიკოზის დამოკიდებულება რუსეთის საერო ხელმწიფებისა და მთავრობისაგან.

ვიტყვით გაკვრით ამ ხასიათის მაგალითებისა და მოსაზრების მიხედვით, რომ ერთი ფრანგი მწერალი, ჰანრი დე-კასტრი, დარწმუნებით ამბობს თავის წიგნაკში „ისლამი და ქრისტიანობა არაბთა ლაშქრობისა და ბატონობის ეპოქაში“: „მუსულმანთა ქვეყნების ქრისტიანთა ცხოვრების პირობები ყოველთვის გამომდინარეობდა მუსულმანთა მხრივ შეწყნარების ღრმა გრძნობიდან, რაიცა ასე იშვიათი იყო მაშინ ევროპაში“. ხსენებული ავტორი კატეგორიულად უარჰყოფს გავრცელებულ შეხედულებას, თითქოს ისლამის რელიგიური სიმძაფრე და შეუწყნარებლობა ყოფილიყოს მიზეზი ისლამის სწრაფი გავრცელებისა.

მაგრამ დაუბრუნდეთ ოსმალეთის სომხობას.

საეკლესიო საქმეების მართვა-გამგეობის პატრიარქსა და საბჭოს შორის განაწილების შემდეგ, ოსმალეთის მთავრობა კიდევ უფრო შორს წავიდა სომხის ერისთვის ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანიზაციის მინიჭების საქმეში. თუ არ ვსცდებით, 1860 წ. ოსმა-

ლეთის მთავრობის ნებართვით გაიმართა სომეხთა სახალხო ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა ეგრედ წოდებული **„სომეხთა ეროვნული კონსტიტუცია“**, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ დაამტკიცა და უმალვე ძალაში შევიდა. ამ კონსტიტუციის ძალით ოსმალეთის სომეხთა სასულიერო და სამოქალაქო მართვა-გამგებლობა ორს საბჭოს აქვს მიკუთვნილი. ერთია **სასულიერო საბჭო**, რომელიც შესდგება 14 წევრისაგან; ამ საბჭოს კონსტანტინოპოლის პატრიარქი თავმჯდომარეობს. მეორეა **საერო საბჭო**; იგი შესდგება 20 წევრისაგან, რომელთაც ირჩევს სომხის სოფლის საზოგადოებათა 400 წარმომადგენელისაგან შემდგარი საკრებულო. ამ ორის საბჭოს სახით, რომელიც საარჩევნო პრინციპზეა აგებული, ოსმალეთის სომხობას ხელში ჰქონდა ეროვნული ორგანო, რომელიც თავს უყრიდა ოსმალეთის სახელმწიფოს ფარგალში მოქცეულ სომხებს, მათ აერთებდა და რაზმავდა ანსაზღვრულ ეროვნულ-კულტურულ და პოლიტიკურ იდეალების გარშემო. დიდი განძი იყო სომხის ერისთვის ეს **სომეხთა ეროვნული საკრებულო**, რომლის ოთხასი წევრი პერიოდიულად თავს იყრიდა, ბჭობდა სხვა და სხვა ეროვნულ საქმეზედ და ითვალისწინებდა როგორც პრაქტიკულ ღონისძიებას ეროვნულ ტკივილების მოსაშუშებლად, ისე სომხის ერის მომავალის პერსპექტივებს. დიდი განძი იყო სომხის ერისთვის ეს სასულიერო და საერო საბჭოები, რომელთაც ნებადართულად შეეძლოთ ზრუნვა სომხის ერის რელიგიურ და სამოქალაქო მოთხოვნილებებისთვის. რაც გინდ ნაკლიანი ყოფილიყო სომეხთა ეროვნული კონსტიტუცია, რაც გინდ კომპეტენცია შეზღუდული, იგი მაინც ნებადართული თავშესაფარი იყო ოსმალეთის სომხობისთვის. რაც გინდ უვარგისი და ცალმხრივ-წოდებრივი ყოფილიყო **სომეხთა ეროვნული საკრებულო**, იგი მაინც ერთგვარი ღუზე იყო, რომლის გარშემო თანდათან სხეულს ღებულობდა სომეხთა კულტურული საქმე და ეროვნული ზრახვა-მისწრაფება.

აი ამ ორი წლის ბრძოლის თავზე ოსმალეთის მთავრობამ იერიში მოიტანა ოსმალეთის სომხობის საერთო პოლიტიკურ-კონსტიტუციურ და ეროვნულ უფლებებზე. ოსმალეთის მთავრობამ მოსპო ოსმალეთის სომხობის დამოკიდებულება ეჩმიაძინის კათალიკოზისაგან. ამ აქტით განიპო სომხის ეკლესიის მთლიანობა. ოსმალეთის სომხების ეკლესია გამოიყოფა ცალკე ავტოკეფალურ ეკლესიათ, რომლის უფროსი ამიერიდან დაემორჩილება ოსმალეთის მთავრობას. გაუქმდა აგრეთვე კონსტანტინეპოლის პატრიარქის კათედრა. ამიერიდან ოსმალეთის სომეხთა ეკლესიის უფროსის—პატრიარქის რეზიდენცია იერუსალიმში იქნება. ამ ორი კვირის წინად ოსმალეთის მთავრობამ ბრძანება გამოსცა სომეხთა ეროვნული კონსტიტუციის გაუქმების შესახებ.

თუმცა ოსმალეთის მთავრობის ასეთი რეპრესიები მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო მას შემდეგ, რაც სომხებს და ოსმალებს შორის მოხდა და სომხობაც იმ თავითვე უნდა შერიგებიყო და უდრტვინველად აეტანა ყოველგვარ უფლების დაკარგვა და ჩამორთმევა ოსმალეთში, მაგრამ მაინც ჩივილი და მწუხარების ჰანგი გაისმა სომეხთა შორის, როდესაც გამოვიდა ოსმალეთის მთავრობის „ირადე“ სომეხთა ეროვნული კონსტიტუციის მოსპობის შესახებ. ამ მხრივ დამახასიათებელია მებრძოლი „არმიანსკი ვესტნიკის“ უკანასკნელი მორიგი ნომრის მეთაური წერილი, სადაც **სომეხთა ეროვნული** საკრებულოს გაუქმების გამო ნათქვამია: „ჩვენ არასოდეს იმ აზრისა არ ვყოფილვართ, რომ ეს კრება სომხის ერის სოციალ-პოლიტიკურ დანაწილების ნამდვილ სურათს წარმოადგენდა. პირიქით ჩვენ ყოველთვის ვფიქრობდით, რომ ამ კრებაზედ ძლიერად წარმოდგენილი იყო მსხვილი ბურჟუაზია, უფრო სუსტად ხალხი. მაგრამ ჩვენ ვაფასებდით **საკრებულოს**, როგორც ეროვნულ ორგანოს, რომელიც საუკეთესოდ გამოსთქვამდა ოსმალეთის სომხების პოლიტიკურ ზრახვებს. როდესაც საქმე უზენაეს პოლიტიკას შეეხებოდა, პარტიათა შორის უთანხმოება სცხრებოდა და „ოლიგარხია—ამირა“, ე. ი. ერთი მუჭა გაბატონებული ბურჟუაზია, ხალხის სურვილებს ჩინებულად გამოსთქვამდაო“.

„არმიანსკი ვესტნიკს“ მოაგონდა უფლებრივი უპირატესობა ოსმალეთის სომხებისა, მოაგონდა **სომეხთა ეროვნული კონსტიტუცია**, რომელიც ნახევარი საუკუნის სიგრძეზე სომეხთა ცხოვრების მოწყობას უფლებრივ ნორმად ჰქონდა გადაქცეული; მოაგონდა და... გული დასწყვიტა ამ დიდი ნაამაგდარი უფლების დაკარგვამ. ბუნებრივია, სრულიად ბუნებრივი.

ხ. ჭ.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ამ სამი დღის განმავლობაში არსად არც ერთ ბრძოლის ველზე, მდგომარეობა თვალსაჩინოთ არ შეცვლილა. ყველგან ერთის ტემპით ადგილობრივ ხასიათის შეტაკებები სწარმოებს და ჯერაც არ შეიძლება ითქვას, თუ რას უპირებენ ერთი მეორეს მოპირდაპირენი და ან როდის შეეცდებიან მთავარ გენერალურ ბრძოლის გაჩაღებას. ვერც რუმინეთის გამოსვლამ იქონია არსებითი გავლენა ომის ასპარეზზე. უკვე რამოდენიმე კვირაა, რაც ახალი მოკავშირე მებრძოლ სახელმწიფოებს ამოუდგა გვერდში, მაგრამ მისმა გამოსვლამ მოკლე ხანში მაინც ვერ აიძულა ცენტრალური სახელმწიფოები შესაფერისად გაენაწილებინათ თავიანთი ძალები და არსებითი ცვლილება მოეხდინათ თავიანთ სამოქმედო გეგმაში. ამავე დროს ბალკანეთის სამხედრო ნაწილი, საზოგადოთ სალონიკის მიდამოები თითქოს უფრო მიყუჩდა და დღევანდლამდე არაფერი ვიცით რა ხდება იმის შემდეგ, რაც ბულგარელებმა იერიშები მიიტანეს და ერთხანად ბრძოლაში ჩაითრიეს მოკავშირეების მთავარ სარდალი სარაილი. უფრო საკვირველია სარაილის მოქმედება სწორედ აი ახლა, როდესაც ბულგარელები და გერმანელები რუმინეთს შესივნენ და მდ. დუნაის ნაპირების დაპყრობას ლამობენ. შესაძლებელია იგი მეტად შეფიქრიანებულია საბერძნეთის მოქმედებით ვერ იქმნა ამ სახელმწიფომ გარკვეული პოზიცია ვერ დაიკავა და დღესაც ისეთ რყევაშია, რომ არავის ძალუძს დარწმუნებით სთქვას, თუ რომელ მოპირდაპირის წინააღმდეგ აღიპრობს თავის მახვილს. უეჭველია ეს უნდა იყოს მთავარი მიზეზი სარაილის უმოქმედობისა. შეიძლება გენ. სარაილი რუსის ჯარის მოლოდინშიაც არის და რაწამს დობრუჯით ბულგარეთის წინააღმდეგ შეტევას დაიწყებს, თვითონაც დაიწყოს ოპერაციები და ორივე მოკავშირებმა შეთანხმებულად იმოქმედონ. გუშინდელ და იმის წინ მოსულ დეპეშების მიხედვით რუმინეთის ჯარი ჩრდილოეთის ასპარეზზე მდ. მაროშის მიდამოებში გადასულა და ფართო მოქმედება დაუწყვია. უეჭველია აქ ბრუსილოვის არმიის მარცხენა ფრთა დიდ დახმარებას უწევს რუმინელებს და საშუალებას აძლევს გაბედულათ აწარმოონ ოპერაციები. სამხრეთ ბრძოლის ველზე, რუსეთის და რუმინეთის ჯარები უკვე შეერთებულან და ბულგარელებზე იერიშიც მიუტანიათ. ცხადია ახლა დიდი შეტაკებები დაიწყება დობრუჯში, რასაც ადვილი შესაძლებელია მოჰყვეს მთავარ ასპარეზზედაც ამოქმედება.

დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლას ისევე ადგილობრივი ხასიათი აქვს. რუსეთის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

X.

## ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა

**პეტროგრადი**, 27 მარიამობისთვე. ოფიციალი. მთავარი სარდლის შტაბისაგან. გალიჩის მიმართულებით მდ. ნარაიუკაზე უკუ ვაგდეთ გერმანელებისა და ოსმალების იერიშები. ამ მიმართულებით დაწყებული მკაცრი ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა. ტყიან კარპატებში, ნარანოვის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა მთელი რიგი მაღლობები დაიჭირეს, ტყვედ ხუთასი კაცი წამოიყვანეს, და წამოიღეს 5 ტყვიის მფრქვეველი, მთის მომქმედი ბატარეა და რამდენიმე ზარბაზანი, რომელიც მტეოს ხრამში გადაუყრია.

**კავკასიის ფრონტი**. სოფელ ოგნოტას რაიონში დაწყებული მედგარი ბრძოლა არ შეწყვეტილა.

**შავი ზღვა**. 25 მარიამ. ჩვენმა ნალმოსნებმა ზარბაზნები დაუშინეს ბალჩიკის ნავთსადგურს, რომელიც ბულგარებს ეჭირათ. თანაც 21 ხომალდი ჩასძირეს, რომელთაც ამავე ნავთსადგურში ბულგარები პურით ტვირთავდენ. ნალმოსნებს თავს დაესხნენ მტრის ჰიდრო-ჰაეროპლანები, მაგრამ ზიანი ვერ მიაყენეს.

**პეტროგრადი**, 28 მარიამ. დასავლეთის ფრონტი. ოფიციალი. გერმანელთა შვიდი ჰაეროპლანი დაფრინავდა კოველ-როჟიშჩეს რკინის გზის რაიონში. ჩვენი მფრინავი შტაბს-როტმისტრი კაზაკოვი შეებრძოლა ზედი ზედ ორს მათგანს და იძულებული გახადა დასავლეთის მხარისკენ მიმალულიყვნენ; ეტყობოდა ერთი დაზიანებულიყო, რადგან მიმავალს კომლის გრძელი ზოლები უკან რჩებოდა. ზემო გოროჟანკის რაიონში 27 მარიამობისთვეს მოკლულ იქმნა ჩვენი უშიშარი პოლკის კომანდირი ვლადიმირი ლებედევი. ტყიან კარპატების ბრძოლაში 19-დან 24 მარიამობისთვემდე დავატყვევეთ 15 აფიცერი და 1889 ჯარის კაცი, ხელთ ვიგდეთ 27 მთის ზარბაზანი და 26 ტყვიის მტყორცნელი, დიდძალი თოფი, პატრონები და ხელით სასროლი ყუმბარები.

**ბალტიის ზღვაზედ**: 27 აგვ. დილით მტერს ჰიდრო-ჰაეროპლანები თავს დაესხნენ რუნოს კუნძულს, რიგის ყურეში; თავდასხმამ უშედეგოდ ჩაიარა. ამ დღის განმავლობაში მტრის ჰიდრო-ჰაეროპლანები მრავალჯერ გამოჩნდნენ ირბენის სრუტეზე, და მრავალჯერ შეტაკებაც მოუვიდათ ჩვენს მფრინავებთან. მიუხედავათ რიცხვით უპირატესობისა, მტერი ყოველთვის უშედეგოდ უკან ბრუნდებოდა. მიჩანმა საფონოვმა მტრის ერთი ჰიდრო-ჰაეროპლანი აიძულა ძირს ჩამოშვებულიყო და წყალზე დამდგარიყო.

**პეტროგრადი**, 29 მარიამ. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. საერთო მდგომარეობა არ შეცვლილა.

**კავკასიის ასპარეზი**. 27—28 მარიამ. ოგნოთის მიდამოებში მკაცრი ბრძოლა გრძელდებოდა. 27-ში დავატყვევეთ 4 აფიცერი და 240 ასკერი, ხელთ ვიგდეთ ერთი ტყვიისმფრქვეველი და გაუბიცა, ხოლო ორი ზარბაზანი, რადგანაც მისი გამოტანა შეუძლებელი იყო, გავაფუჭეთ და გადავაგდეთ. საკიზის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა ბრძოლის შემდეგ ქ. ბანი დაიპყრო და მტერს სდევნის..

—

**პარიზი**, 26 მარიამ. საღამოს ცნობა. სომას სამხრეთით, ნაწილებრივი შეტაკებების წყალობით ფრანგებმა სოფ. ვერმანდოვილერს მიაღწიეს, სადაც რამდენიმე კაცი დაატყვევეს. სომას მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა არ შეწყვეტილა. მაასის მარჯვენა ნაპირზე, გერმანელები დილით რამდენიმეჯერ ეკვეთნენ ვოსა, შაპიგრისა და ლეშენუას რაიონებში ფრანგების მიერ დაჭერილ პოზიციებს. მტერმა ერთ-ერთს სანგარში მოასწრო ფეხის მომაგრება, მაგრამ ფრანგებმა კონტრ-იერიშის წყალობით გერმანელები იქიდან განდევნეს; ტყვეთ 100 კაცი წამოიყვანეს და ხელთ იგდეს რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი. ტიომონის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფრანგებმა წინ წაიწიეს ხელით სასროლ ყუმბარების წყალობით. ტიომონის ფარგალში ვოსკენ მიმავალ გზასთან ზარბაზნის გაცხარებული სროლაა. პარუას ტყეში ფრანგებმა უკუ აგდეს გერმანელთა იერიში ფრანგთა საველე სიმაგრეზედ მიტანილი. ფრონტის დანარჩენ სიმაგრეზედ ჩვეულებრივი სროლაა.

**პარიზი**, 27 მარიამ. დღის ოფიციალი ცნობა. სომას სამხრეთით ფრანგებმა დაიჭირეს კლუა-ან-სანტერის აღმოსავლეთით მდებარე პატარა ტყე და მტრის სანგრებისკენ წინ წაიწიეს, დენიეკურის აღმოსავლეთით. ფრონტის სხვა და სხვა ადგილიდან მოსული ცნობებიდან ირკვევა, რომ მტერს დიდი ზარალი მოსვლია ამ უკანასკნელ იერიშების დროს. სანგრებსა და მათ მიდამოებში გერმანელთა დიდძალი გვამი ჰყრია. 21 მარიამობისთვიდან სომას ჩრდილოეთ და სამხრეთ ადგილებში ფრანგებმა 2000 ტყვე წამოიყვანეს, მათ შორის ასი ოფიცერია. მაასის მარჯვენა ნაპირას ვო-შაპიტრ-ფლერი-ლეშენუას რაიონში საარტილერიო ბრძოლა არ შეწყვეტილა. ღამის ორ საათზე გერმანელებმა ხელ-ახლა იერიში მოიტანეს ვო-შაპიტრში ფრანგების მიერ დაჭერილ პოზიციებზე, მაგრამ მტრის ცდა შეყენებულ იქმნა გზის გადამჰრელ ცეცხლის შემწეობით. ფრონტის დანარჩენ ადგილებში ღამემ წყნარად განვლო.

**პარიზი**, 27 მარიამ. საღამოს ოფიციალი ცნობა. სომას რაიონში ორთავე მხარის არტილერიამ მოქმედება თვალსაჩინოდ გააცხოველა. ბელუას აღმოსავლეთით მტრის სანგართა ერთი ნაწილი დავიპყარით, ხელით სასროლ ყუმბარების წყალობით, თანაც ტყვედ 30 კაცი წამოვიყვანეთ. ძლიერი საარტილერიო ცეცხლის გაჩაღების შემდეგ მტერი შეეცადა წაერთმია პოზიცია, რომელიც სოფ. ბერნის ჩრდილო-აღმოსავლეთით დავიჭირეთ ამ დღეებში. მტერი დიდის ზარალის მიყენებით უკუვაქციეთ. მაასის რაიონში სოფ. კლერის აღმოსავლეთით, დუომონის წინ, ჩვენმა ჯარებმა იერიშით აიღეს მთელი წყება გერმანელთა სანგრებისა, ტყვედ 200 კაცი წამოიყვანეს და თან რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი წამოიღეს. ტყვეებ შორის ორი ოფიცერი ერია. ფრონტის დანარჩენ პირზე არავითარი საყურადღებო ცვლილება არ მომხდარა.

**პარიზი**, 28 მარიამ. დღის ოფიციალი ცნობა. სომას სამხრეთით გერმანელებმა ღამე რამოდენიმე მკაცრი იერიში მოიტანეს ბელუ-ან-სანტერისა და ბერლეს შუა, სხვა და სხვა ადგილას, მდუღარე სითხის გამოყენებით. პირველად მათ ხელში ჩაიგდეს ფრანგების ერთი ახალი სანგარი, მაგრამ ენერგიული კონტრ-იერიშის წყალობით გერმანელები უკუგდებულ იქნენ. ფრანგებმა ხელთ იგდეს 4 ტყვიისმფრქვეველი. ბერლეს სამხრეთ-დასავლეთით, დენიეკურის აღმოსავლეთით და ვერმანდოვილიერის სამხრეთით, გერმანელებმა იერიში მოიტანეს ხელით სასროლი ყუმბარების შემწეობით. ამ იერიშებს წინ უძღოდა ზარბაზნების საშინელი სროლა. ფრანგები თავგანწირვით ეკვეთნენ მოიერიშეთ, გაჩაღდა სასტიკი ბრძოლა, რომლის დასასრულისას გერმანელები უკუგდებულ იქნენ მთელი ხაზის გასწვრივ თავიანთ სანგრებისკენ. მაასის მარჯვენა ნაპირას, ბრწყინვალე ბრძოლის შემდეგ, რომელიც ფრანგებმა გუშინ გადაიხადეს ფლერის აღმოსავლეთით, ტყვედ 300 გერმანელი წამოიყვანეს, რაიც წინა დღეებში დატყვევებულებთან ერთად მარტო ამ ფარგალში 3000 კაცს შეადგენს. გერმანელებმა იერიში მოიტანეს აგრეთვე იმ პოზიციებზე, რომელიც ფრანგებმა დაიჭირეს ვოს ფორტისკენ მიმავალ გზის დასავლეთით. ტყვიის მფრქვეველებისა და საარტილერიო ცეცხლის შემწეობით ფრანგებმა ეს იერიში შეაყენეს. გერმანელების უცაბედი თავდასხმა ეპარჟთან და პარუას ტყესთან უშედეგო იყო.

**ლონდონი**, 26 მარ. ინგლისის მთავარ შტაბის ოფიციალი ცნობა საფრანგეთიდან. დღემ განვლო სასტიკ საარტილერიო სროლაში. საერთო მდგომარეობაში ცვლილება არ მომხდარა. იპრ-რულერის რკინის გზის სამხრეთით ნაღმი მოხერხებულათ ავაფეთქეთ. მტრის ათი ჰაეროდრომი ზარბაზნით დავაზიანეთ.

**ლონდონი**, 26 მარიამ. ოფიციალი. 25 მარიამობისთვეს ჩვენმა საზღვაო ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს მტრის ჰაეროდრომს სენ-დენისთან. 1 ჩვენი აპარატი აღარ დაბრუნებულა. იმავე დღეს ჩვენმა აპარატმა ცეცხლი წაუკიდა მტრის საბამ ბუშტს.

სამხედრო სამინისტრო იუწყება: სოლუნთან არტილერია ენერგიულად მუშაობდა. დოირანის ფრონტზე ჩვენი პატრულები მტერს მოხერხებულად თავს დაესხნენ. სტრუმას ფრონტზე მტერმა ზარბაზანი დაუშინა კოპრიასთან გამართულ ხიდს. ღამის განმავლობაში ჩვენი პატრულები მდინარეზე გადავიდნენ და ენიკიოის თავს დაესხნენ. გუდერლის აღმოსავლეთით მტრის ძლიერი პატრული უკუ ვაგდეთ.

სამხედრო ოპერაცია მესოპოტამიაში მდ. ტიგრზე მარიამობისთვის განმავლობაში არაფერი მომხდარა. ოსმალთა რეგულიარი ჯარები, როგორც ჩვენდამი კეთილად განწყობილ არაბების დაზვერიდან სჩანს, 26 და 22 მარიამობისთვეს აინთან მდგარა, მდ. ეფრატზე, ნასირიეს დასავლეთით 46 მილის მანძილზე.

**ლონდონი**, 26 მარიამ. ჩაგვიძირეს გემი „სტრეტეი“ ბრესტის გასწვრივ. კამანდა ნაპირზე გადმოვიდა.

**ლონდონი**, 26 მარიამობისთვე. დელიში საკანონმდებლო კრების გახსნისას, ინდოეთის ვიცე-მეფემ განაცხადა, ინდოეთსა და ავღანისტანს შორის გულითადი და მეგობრული ურთიერთობაა, სპარსეთთან არასდროს ასეთი ერთსულოვნური შეთანხმება არ გვქონია. ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთით მოსამზღვრე ადგილებში, არ გაგონილი სიწყნარეა, თვით ინდოეთში კიდევ ხალხი უაღრესად ერთგული და ლოიალურია.

**პარიზი**, 26 მარიამობისთვე. საბიუჯეტო კომისიაში რიბომ წარმოადგინა პროექტი დროებითი რვა მილიარდი ფრანკის კრედიტისა, ამ 1916 წლის უკანასკნელი ოთხი თვისათვის. დღიდან ომის დაწყებისა, პარლამენტმა სულ დაადასტურა 61 მილიარდის კრედიტი ზემო აღნიშნულ რვა მილიარდთან ერთად. ეს კრედიტი დაიფარა სესხით და გადასახადებით. რიბომ დაასახელა აგრედვე თუ რამდენი ფული აქვს გადასახდელი საფრანგეთს უცხოეთის სახელმწიფოებისადმი და გააცნო დამსწრეთ იმ შეთანხმების დებულებანი, რომელიც დაიდო ერთის მხრით საფრანგეთსა და მეორეს მხრივ ინგლისის ბანკსა და ინგლისის ხაზინას შორის, გირვანქა სტერლინგის კურსის დასაცავად.

**ბუქარესტი**, 27 მარიამობისთვე. ოფიციალი. ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ზემო მაროშისა და ოლტის ველზე მეტად მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. მტერი დასავლეთისკენ იხევს. სამხრეთის ფრონტზე ჩვენმა არტილერიამ დაუშინა ვიდინს, ლომპალანკას და რახოვოს; ამ ადგილებს ცეცხლი გაუჩნდა. ტურტუკაიში მტრის ბანაკს ჩვენმა ჰაეროპლანებმა თავზე ყუმბარები დააყარეს.

ოფიციალი ცნობა 28 მარიამობისთვეს. ჩრდილოეთისა და ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ბრძოლა არ შეწყვეტილა. მარმობის ველზე, ტოპლიცის დასავლეთით ჩვენ დავიჭირეთ ჩიქსერედე. სამხრეთის ფრონტზე მტერი ზარბაზანს უშენს ჟურჟევოს. რუშჩუკთან, გამაგრებულ პოზიციებს ჩვენმა ჰაეროპლანებმა ყუმბარები დაუშინეს.

**ადესა**, 28 მარიამობისთვე. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, ჩვენმა მეზღვაურებმა ზარბაზანი აარიდეს ფერდინანდის სასახლეს, რომელზედაც აღმართული იყო წითელი ჯვრის ბაირაღი.

ფრონტის ცნობაა, ბულგარები ვარნას სცლიანო.

ბუქარესტში წავიდა სამხრეთის წითელ-ჯვრის მთავარ რწმუნებული თავადი ურუსოვი, რომ მოაგვაროს რუსეთ-რუმინეთის წითელი - ჯვრის შეერთებული თანამშრომლობა.

**ბუქარესტი**, 26 მარიამ. ჩრდილოეთ და ჩრდილოეთ-დასავლეთ ასპარეზები. მკაცრი ბრძოლის შემდეგ დავიპყარით პოპლიცა, სანილაი, დელნი, ჟურჟენი, სან-მეკლაუ. მეხადის ჩრდილოეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ.

**სამხრეთ-ასპარეზი**. რუს-რუმინელთა ჯარმა ბულგარელები ბაზარჯიკიდან უკან დასწიეს. მტრის მფრინავები კონსტანცს თავს დაესხა და ყუმბარები ჩამოყარეს. დაჭრილია ორი ქალი და ერთი ბავშვი.

**პარიზი**, 28 მარიამ. სომის სამხრეთით გერმანელებმა ორჯელ შემოუტიეს ჩვენს თხრილებს ბერნის სამხრეთ-დასავლეთით, მაგრამ უნაყოფოთ. სომის ხაზით ჩვენმა არტილერიამ მთელი დღის განმავლობაში მხნე მუშაობა გამოიჩინა. სხვა ადგილებში სიმშვიდეა.

**პარიზი**, 29 მარიამ. ოფიციალი. სომის დასავლეთით, ფრანგთა ახალ ასპარეზზე ბერნიდან შომის სამხრეთამდე, გერმანელებმა რემდენიმე ალაგას იერიშები მიიტანეს. ერთ ადგილას ხუთჯერ ეკვეთნენ. გერმანელებმა აქ ასანთი სითხე იხმარეს. არტილერიის და ტყვიისმფრქვეველების დახმარებით მტერი დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ. სხვა ადგილებში ღამემ მშვიდათ ჩაიარა.

მოპირდაპირეთა მფრინავები მოქმედებას განაგრძობენ.

**პარიზი**, 27 მარიამ. ფინანსთა სამინისტრომ ახალი 5 პროც. სესხი გამოაცხადა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ანარქია საბერძნეთში.**

ვენიზელოსის მომხრეებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ქალაქებში მიტინგები გაემართათ, მაგრამ არსად არ შესდგა, რადგანაც ამ საქმის ჩაშლაში გუნარისის მომხრენი ჩაერივნენ. მთელ საბერძნეთში მღელვარებაა. საბერძნეთიდან, ის მამაკაცნი, ვინც კი გასაწვევნი არიან ჯარში, საზღვარ-გარეთ გარბიან. მთავრობა ღონის ძიებას ხმარობს მათ წინააღმდეგ, თუმცა ნაყოფი ნაკლებია. ყველა ეს იმას ჰმოწმობს, რომ საბერძნეთის მყუდრო ცხოვრება დარღვეულია და უწესოება ფაიდათან ფართო ხასიათს იღებს.

**სამეფო საბჭოს კრება საბერძნეთში.**

როგორც „რუსკ. სლოვო“ იტყობინება, 25 მარიამობისთვისთვის, ათინაში დანიშნული იყო სამეფო საბჭოს კრება, სადაც უნდა გადაწყვეტილიყო საბერძნეთის მდგომარეობა.

ბულგარელები სარგებლობენ საბერძნეთის გამოურკვეველ მდგომარეობით, დაუბრკოლებლივ დასავლეთ მაკედონიისაკენ წინ იწევენ და ფესალიის საზღვრებს უახლოვდებიან.

**საბერძნეთში.**

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს ეცნობა ის ნოტა, რომელიც მოკავშირეებმა საბერძნეთის მთავრობას წარუდგინეს. ნოტა საბერძნეთს 20 მარიობისთვეს ჩააბარეს. შიგ გარკვევით არის ნათქვამი, რომ მათ შეიტყვეს, რომ საბერძნეთიდან მათი მტრები ფოსტა-ტელეგრაფით გებულობენ, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება მოკავშირეთა ჯარი ბალკანეთში; ამ ცნობებს ჯაშუშობის სუნი უდის. ამის გამო მოკავშირენი მოითხოვენ იმ ბერძენთა დასჯას, რომლებიც გერმანელებს ხელს უწყობენ.

თუ რა გზას დაადგება საბერძნეთი ახლო მომავალში, ამის გაგება ჯერჯერობით ძნელია. დიპლომატიური წრეები ყოველგვარ სიურპრიზის მოლოდინში არიან.

მოკავშირეთა ესკადრა პირეიში რჩება იმ განზრახვით, რომ მზათ იყვეს ყოველგვარ მოვლენისათვის.

**ოსმალეთში.**

გამოვიდა ახალი ფირმანი, რომლის ძალით ოსმალეთის მთავრობა დღევანდელ მძიმე მდგომარეობის გამო, ბრძოლის ველზე იწვევს ყველა ოსმალო მამაკაცს 55 წლამდე.

**პურის მოსავალი გერმანეთში.**

ბერლინის გაზეთები მოითხოვენ, პურის პაის გადიდებას, რადგანაც წლევანდელი პურის მოსავალი გერმანეთში,—5 მილიონი ტონით სჭარბობს შარშანდელ მოსავალს.

**როდემდის გაგრძელდება ომი**

იმპერატორ ვილჰელმის მეგობარმა ბალინმა გერმანეთის შესახებ შემდეგი განაცხადა: უნდა გამაგრდეს, სდუმდეს, ითმინოს და არავითარი უკმაყოფილება არ განაცხადოს. ბალინის აზრით ომი ერთ წელიწადს კიდევ გასტანს, რადგანაც მისი მსვლელობა იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ უფრო დიდხანს შესძლებს ომის ტვირთის ზიდვას.

**ტისას წინადადება**

კოპენჰაგენიდან „რუსკ. ვედ“-ის საკუთარი კორესპონდენტი იუწყება: ბუდაპეშტიდან მოსულის ცნობით, ტისას განუზრახავს წინადადებით მიჰმართოს ფრანც-იოსებს, რათა დათხოვნილ იქმნას უნგრეთის პარლამენტი დეკემბრამდე. მიზეზად ტისა ასახელებს პარლამენტის მოქმედებას, რომელმაც შეიძლება სამშობლოს საკმაო ზიანი მიაყენოს.

**თანამედროვე გემების „უკვდავება“.**

ინგლისის და გერმანეთის გემების ამ წლის 18 მაისის ბრძოლამ მეტად საყურადღებო გავლენა გამოაშკარავა, სახელდობრ ისა, რომ თანამედროვე გემები ისე ადვილად არ იღუპებიან თვით მოძრავ ნაღმის დაჯახებისგან, როგორც ძველი ნაშენობის გემებს მოსდიოდათ. ამერიკელი ავტორიტეტები ამ აზრს დაასკვნიან, როდესაც ითვალისწინებენ ხსენებული ბრძოლის ზოგიერთ ეპიზოდს. მაგალითად, ამ ბრძოლის დროს ინგლისის დრედნოუტს „უორსპაიტსა“ საჭე დაუზიანდა და ამავე დროს მტრის იქვსი გემიც ზარბაზანს გაუნელებლად უშენდა. გემი მაინც იბრძოდა და ჩინებულათაც უმკლავდებოდა მოპირდაპირეთ, თან ზიანიც შეაკეთა და თავისიანებსაც შეუერთდა. მეორე დრედნოუტს „მალბოროს“ წყალქვეშა ნაწილი მტრის ნაღმა შეუნგრია; ასე დაზიანებული გემი მაინც იბრძოდა. თვისი მაშინების ამარა გემმა საკუთარ პორტს მიაღწია, სადაც შეაკეთეს კიდეც. ერთი სიტყვით, თანამედროვე სამხედრო გემი უმწეო არ არის. ნაღმის დაჯახებისგან იგი არ იღუპება.

როგორც ვიცით 18 მაისის ბრძოლის დროს ბურუსის წყალობით მტრის გემები $2^1/_2$ საზღვაო მილის მანძილზე ერთმანეთს მიუახლოვდნენ და ერთბაშად მოპირდაპირის რამოდენიმე ზარბაზნის განასროლი ზოგიერთ მათგანს მოხვდა კიდეც. ადმირალ ჯელიკოს მოწმობით, გერმანეთის ერთ გემს შვიდი ყუმბარა მოხვედრია, მაგრამ მაინც არ ჩაძირულა. ამგვარად, როდესაც საქმე გვაქვს თანამედროვე, კარგად დაჯავშნებულ გემებთან, მაშინ თანამედროვე ყუმბარების ყოვლის შემმუსვრელი ძლიერება, რომელიც წარა-მარა ლაპარაკობენ, საკმაოდ შემმუსვრელი აღარ არის. ეს გარემოება მოწმობს, რომ სწორი გზა აურჩევიათ გემების ამშენებელ ინჟინრებს, როდესაც მათ დრედნოუტების ტიპი აიგეს. შორს არ არის ისეთი დრო, როდესაც გაშენდება სრულიად დაუზიანებელი სამხედრო გემის ტიპი, რომელსაც ვერაფერს დააკლებენ თვით დღევანდელი საშინელი გამანადგურებელი ძლიერების ყუმბარები და თვითმოძრავი ნაღმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სტრატეგიული გარემოება**

ნეიტრალ სახელმწიფოთა პრესის ცნობით, მას შემდეგ, რაც ჰინდენბურგმა ასეთი დიდი და პასუხსაგები თანამდებობა მიიღო, თავისი განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის ფრონტს მიაქცია. მან სხვა და სხვა ფრონტებიდან გადმოსხა ჯარი ვოლინის და გალიციის ბრძოლის ველზე. დიდს ანგარიშს უწევს კოველის და ლვოვის მიდამოებს. ამ ადგილებში მეტად აძლიერებს თავის არმიას. რიგა-დვინის ფრონტიდან ამ ადგილებში გადმოჰყავს ჯარი.

რუმინეთის ჯარის წინაალმდეგ, როგორც ნეიტრალი პრესა იტყობინება, გერმანეთის შტაბს ჯარი დასავლეთ ფრონტიდან, განსაკუთრებით ვერდენის მიდამოებიდან გადმოუყვანია. ვერდენთან ბატონიშვილს 18 დივიზია დარჩენია.

ამის გარდა, დიდი ყურადღება აქვს მიქცეული რუმინეთ-სერბეთის საზღვარს, ორშოვიდან სამხრეთით, რომელი ადგილიც ბჭეა გერმანეთ-ავსტრიისთვის ოსმალეთსა და ბულგარეთში შესასვლელად. აქ ჰინდენბურგს გადაწყვეტილი აქვს დიდძალ ჯარს მოუყაროს თავი. როგორც სტოკჰოლმიდან იტყობინებიან აქ უკვე დასავლეთ ფრონტიდან გერმანეთის ჯარის სამი დივიზია მიუყვანიათ.

რუმინეთ-ბულგარეთის საზღვარზედაც დიდძალს ჯარს აგროვებენ. აქაც დასავლეთ ფრონტიდან მოუყვანიათ.

ეხლანდელ ფრონტზე, სიგრძით 680 კილომეტრზე გერმანელებს სულ 120 დივიზია უყენია, თვითეულს ფრონტზე 5—6 კილომეტრზე საშუალოთ თითო დივიზია უყენიათ.

**საბერძნეთის მდგომარეობა.**

„არ გეგონოთ ჭკვიანურად იქცეოდეთ, რომ არც ერთსა და არც მეორე მხარეს არ ემხრობით და ორივესთან მშვიდობიან განწყობილებაში იმყოფებით. თუ რომელსამე მებრძოლ მხარეს თქვენს ძალას არ შეუერთებთ რა მოელის თქვენს განზე ყოფნას? გამარჯვებულს შეეზიზღებით, რომ მის გამარჯვებას თავის დროზე ხელი არ შეუწყეთ, დამარცხებულიც ასევე მოგექცევათ, რადგან ის მარცხდებოდა და არ მიეშველენით“.

ასე მიუმართავს სირაკუზელ ბრძენს გერმოკრატს კამორინის მცხოვრებთათვის. ეს ბრძენი რომ ამ ჟამად სცხოვრობდეს, ასევე მიჰმართავდა საბერძნეთის მთავრობას.

საბერძნეთში ისეთი მომენტი დგება ხოლმე, როცა ან უნდა მტრად ექცე, ან მოყვრად და მოკავშირედ. საბერძნეთს ერთის მხრიდან გერმანეთ-ბულგარეთის ჯარი აწვება და მეორეს მხრიდან საფრანგეთ-ინგლისისა; თანდათან ძალაუნებურად ისეთს პირობებშივარდება, რომ თუნდაც არ უნდოდეს, ომში უნდა ჩაერიოს.

# უკანასკნელი დეპეშები

**ბულგარელები საბერძნეთის ტერიტორიაზე წინ იწევენ, ფესალის საზღვართან სოფელი ხელთ იგდეს.**

—

**ის ხმები, ვითომც საბერძნეთს მობილიზაცია გამოეცხადოს მართალი გამოდგა. დღევანდელს სამეფო თათბირზე საბერძნეთის პოზიცია საბოლოოდ გამოირკვევა.**

—

გენერალ ჰინდენბურგს თავის არმიაში დიდი ცვლილება მოუხდენია. ჩრდილო ფრონტიდან რამდენიმე დივიზია კოველის რაიონში გადმოუყვანია. როგორც ამბობენ, ჰინდენბურგი ავსტრიის ჯარს ნაკლებად ენდობა და ამიტომ შიგა და შიგ გერმანეთის ჯარი ჩააყენაო.

—

გერმანეთის პოლიტიკურ წრეებში თურმე მსჯელობაა იმის შესახებ, რომ საბერძნეთს შეიძლება ულტიმატუმი წარედგინოსო.

—

გაზეთ. „რეჩის“ ცნობით ამ მოკლე ხანში ქაღალდის ფულის ნაცვლად ბერინჯაოდან ხაზინა ახალს ფულს მოსჭრისო და მოჭრილი ფული მასზე მეტი ეღირება, რაც უნდა ღირდეს მასალის ფასის მიხედვითაო.

—

ხნის-კალიდან აღმოსავლეთით ნავთიანი ადგილი აღმოჩენილა. ნავთი ჯარისკაცებს უბრალოდ ამოაქვთ და სამზარეულოებსა და თხრილებში ხმარობენ.

—

ათინიდან იტყობინებიან: მეფე კონსტანტინემ მიიღო ის ოფიცრები, რომელთაც გერმანელების სახარგებლოდ აჯანყება მოახდინეს. მეფემ ოფიცრებს მოახსენა: საბერძნეთის ისტორიაში საუკეთესო ფურცელი თქვენ შეიტანეთო. სამწუხაროდაო—მეფეს უთქვამს—თქვენ შორის მოღალატე აფიცრებიც გამოჩენილან. თქვენ აღმივსეთ გული ბალზამით და ჩემს გარდაწყვეტილებას ძალა შემმატეთო. ასეთ არმიით, და ასეთ უფროსებით, როგორიც თქვენ ხართ მზად ვარ რომელ მტერსაც გინდათ პირის პირ შევხვდეო.

—

გაზ. „ბაკუს“ ცნობით შინაგან საქმეთა სამინისტროში განზრახვაა დაარსდეს კომისია, რომელმაც კავკასიაში გუბერნიები და მაზრების ძველი საზღვრების მიჯნები უნდა შესცვალოს, რომ ერობის დაწესებულებებმა კარგად იმოქმედონო.

—

ბულგარეთის მეფემ მხგავსად კაიზერისა, მანიფესტით მიჰმართა თავის ჯარს, სადაც მოუწოდებს: მოხრეთ მოღალატე რუმინეთი. ბულგარეთის ჯარში ბრძანება გაიცა, რუმინელები ტყვედ არ წამოიყვანოთო.

—

მაკენზენის გეგმით სალონიკის ფრონტზე, მოგერიებით ტაქტიკას დაადგებიან, რომ რუმინეთის ასპარეზზე აქტიურად იმოქმედონ.

—

გერმანეთის პრესა ხალხს იმ აზრს აჩვევს, რომ საბერძნეთი აუცილებლად ომში ჩაერევაო.

—

ბულგარელები კახტორიის და კლისურას მიდამოებში ჯარს თავს უყრიან.

# დეპეშა

(საქ. კორესპონდენტისაგან).

**სარხერე.**

**პოლიცია და ყაჩაღების შეტაკება.**

სარხერეს არემარეში ბოქაული გრ. კეიდია თავის სტრაჟნიკებით თავს დასხმი ტყეში ვაჰრილ ყაჩაღთა ბრბოს. ყაჩაღები გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი აღმოჩენილა, ვიდრე იავდამსხმელი სტრაჟნიკები და ალი ამათთვის აქეთ შემოურტყამთ ასტყდა საშინელი სროლა. ყაჩაღეი მანამ არ მეეშვნენ, სანამ ბოქაული და მისი სტრაჟნიკები არ ამოწყვეს.

# ახალი ამბავი

**მეფის ნაცვალი** დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კოჯრიდან საზამთრო ბინაზე გადმოსახლდა სასახლეში.

**ილიას ხსენება.** 29 მარიამობისთვეს, სუმნათ ილიას ხსოვნის დღეს მამადავითის ტაძარში მწირველი იყო გორ[ის] ეპ. ყოვლ. სამღ. ანტონი, დეკ[ანოზ] . მაჭარაშვილისა და დეკ. ან. თოთიბძესთან ერთად. წირვის შემდეგ, ნაშუადღევის 1 საათზე, განსვენებულ ილიას სამარეზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი რომლის დასრულების შემდეგ, ეპ. ანტონიმ ხალხს სიტყვით მიმართა. როგორც წირვაზე ისე პანაშვიდზე ჰგალობდა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გუნდი ბ-ნ ზ. ჩხიკვას ლოტბარობით.

**სენატორი** პ. ე. ილიაშენკო, ამხანაგი იუსტიციის მინისტრისა გაემგზავრა შავიზღვის პირის ოლქში.

**თ-დი დღ. ნიჟარაძე** კისლოვოდსკიდან თბილისს დაბრუნდა და 28 მარიამობისთვეს მეფის ნაცვალს წარუდგა სადაზღოდ.

**საფოსტო უწყების უფროსის მოსვლა.** ამ დღეებში თბილისში მოელიან ფოსტ-ტელეგრაფის მთავარი სამმართველოს უფროსს კამერგერ ვ. ბ. პოხვლენევს დაწესებულებათა სარევიზიოდ და ახალ ფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებათა დაარსების საკითხთა ადგილობრივ გასაცნობად.

**საქართველოს საისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების** წევრთა ჩვეულებრივი კრება გაიმართა კვირას 28 მარიამობისთვეს ახალ კლუბის დარბაზში. კრებაზე მოხსენება წაიკითხეს გ. ნ. ჩუბინაშვილმა შესახებ სიონის ტაძრების (ბაზილიკებისა) საქართველოში და აკაკი ნიბძემ—გლოლისა და ღების კილოების შესახებ. ორთავე მოხსენება შინაარსიანი გამოდგა. მომხსენებელი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს. დასასრულ, ახალ წევრების მიღება მოხდა.

**ჯარში გაწვევა.** 28 მარიამობისთვეს თბ. სამხედრო უფროსის ბინაზე დაიწყო პირველ ხარისხიანთა (1902—1898 წ.წ.) ჯარში წვევა. ამ დღეს შეამოწმეს მოლაშქრე თბ. 1, 2, 3 და 4 საპოლიციო უბნიდან. 29 მარიამობისთვეს შეამოწმეს მოლაშქრენი თბ. 5, 6, 7 და 8 საპოლიციო უბნებიდან, 30 მარიამ. თბ. 9, 10, 11 და 12 საპოლიციო უბნებიდან. დღეს, 31 მარ. უნდა გამოცხადდენ მოლაშქრენი თბილისის მაზრიდან გაწვევა 3 დღეს გაგრძელდება. შემდეგ ე. ი. 3, 4 და 5 ენკენისთვეს დანიშნულია მოლაშქრეთა გაწვევა ბორჩალოს მაზრიდან. მეორე ხარისხიანთა გაწვევა (1916—1910 წ.წ.) დაიწყება 7 ენკენისთვეს. ის მუშები და მოსამსახურენი, რომელთაც თბ. ქალაქის შეღავათის მიმცემ კომიტეტმა ვადა გაუგრძელა 1 იანვრამდე, მოვალენი არ არიან გამოცხადნენ გაწვევაზე სამხედრო უფროსთან.

**ხოლერა.** 30 მარიამობისთვეს ხოლერიანთა საავადმყოფოში № 40 ხოლერიანთა რიცხვი 100 სულს უდრიდა, ხოლო საეჭვო 12 სულს.

**პანაშვიდი ალ. ნათაძისა.** კვირას 28 მარიამობისთვეს ქაშვეთის ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ცნობილ პედაგოგ ალექსანდრე ნათაძისა, მის გარდაცვალების 40 დღის შესრულების თავზე.

**საკოოპერაციო სასადილოს გახსნა.** კვირას, 28 აგვისტოს ნაშუადღევის 1 საათზე გაიხსნა კოოპერატიული სასადილო, გიორგიევის ქუჩაზე, ქაშვეთის ტაძრის პირდაპირ. სასადილოს გახსნას დიდძალი საზოგადოება დაესწრო; დამსწრეთ სიტყვით მიმართა თბ. კოოპერატიულ სასადილოთა გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ფ. აბრასიმოვმ, აუხსნა იქ დამსწრეთ, რომ ესეთი სასადილო არამც თუ აქ, კავკასიაში, მთელ რუსეთში პირველად იხსნებაო და მადლობა გადუხადა როგორც საქმის მოთავეთ, ისე ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელთ, რომელთაც უშუამდგომლეს და ქალაქის კასიდან სასადილოს საქმის დასაწყებად 3000 მანეთი მისცეს. ჩაის დროს ბ. აბრასიმოვის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: ფ. მ. ვენემოვიჩმა, მ. ა. ჯაბარმა, ნ. ნ. ვესელოვზოროვმა, კავკ. მომხმ. საზ. კავშირის წარმომადგენელმა ბ. კანდელაკმა, გ. მ. თუმანოვმა, ამ საზოგადოების ხაზინადარმა ბ. მეკკელმა, თავ. გრ. ნ. დიასამიძემ, ექიმ ქალმა თარხნოვმა ღ პოსერბსკი-საგარდამ და დასასრულ ქ-ნ ნინო ნაკაშიძისამ, რომელმაც აუწყა რომ ეს აზრი უპირველესად კავკასიის ქალთა საზოგადოებას დაებადა და მათი სახელით მადლობა მოიხადა. სასადილო სუფთად არის მოწყობილი. სადილები წმინდა კარაქზედ კეთდება. ფასებიც ძლიერ ხელსაყრელია. ორი თავი სადილი წევრთათვის ღირს 90 კ., არა წევრთათვის 1 მ. 5 კ., სამი თავი წევრთათვის 1 მ. 15 კ., არა წევრთათვის 1 მ. 25 კ., ცალკე პირველი თავი ღირს 35 კ., მეორე 60 კ., მესამე 25 კ. არა წევრთ შეუძლიანთ სადილობა 5 ენკენისთვემდე. საწევრო ფული 10 მანეთია საპაიო, და 3 მანეთი ჩასაწერი.

**სასანიტარო თათბირზე,** რომელიც 28 მარიამობისთვეს გაიმართა, დადგენილ იქმნა, აღიძრას შუამდგომლობა ქალაქის გამგეობის წინაშე ქალაქის სამოსამართლო ნაწილების დაარსების შესახებ. ამ სასამართლოებმა უნდა განიხილოს საქმეები შემდგარი მცხოვრებლებზე სასანიტარო სავალდებულო დადგენილებათა დარღვევის შესახებ.

**ნიხრი ხორცზე და შეშაზე.** საგანგებო თათბირზე, რომელიც 28 მარიამობისთვეს გაიმართა ვიცე-გუბერნატორის ბ. პანოვის თავმჯდომარეობით, დადგენილ იქმნა გირვანქა ცხვრის ხორცზე 36 კაპ. დაინიშნოს, ხოლო ძროხისაზე 33 კაპ. ამავე თათბირზე შეშაზე დაწესდა შემდეგი ნიხრი: ერთ საჟენ რცხილისაზე 85 მან. და არა 120 მან., როგორც მეშეშეები თხოულობდნენ, შერეულზე 80 მ. (მეშეშეები 110 მან. თხოულობდენ) და რბილ ჯიშისაზე 75 მან. (თხოულობდენ 100 მანეთს).

**საქალაქო დუქანი.** მეხუთე საპოლიციო უბანში იერუსალიმის ქუჩაზე გაიხსნა ახალი საქალაქო დუქანი რიცხვით მეთერთმეტე.

**ტრამვაის ღამის მოძრაობა** ხვალიდან ისპობა. ამავე დღიდან ტრამვაის ვაგონების ჩვეულებრივი მოძრაობა ნახევარ საათით შემოკლებულ იქნება, ზამთრის წესრიგის მიხედვით.

**ქართველ ქალთა ამხანაგობის** ჭრა-კერვის სკოლაში სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვეში, აგრეთვე პირველითგანვე მიიღებენ ყოველ შეკვეთილ საქმეს: კაბებს, წამოსასხამებს ქალებისას და ბავშვებისას, თეთრეულს და სხვა და სხვა ნაქარგ ხელსაქმეს. თავისუფლი ალაგი მოწაფეთათვის მხოლოდ კურსებზეა და მიიღებენ მოზრდილ ქალებს, თექვსმეტი წლიდგან. მისამართი: ვერა, გაბაანთ ქუჩა, № 3.

# განცხადება

**თბილისის ქალაქის ტრამვაის დირექცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ დღევანდელ დღიდან ღამით ვაგონების მიმოსვლა აღარ იქნება**

(1—282—1)

**გაზეთების გამოუსვლელობა.** 27 მარიამობისთვეს უქაღალდობის გამო კიევში მხოლოდ ორი გაზეთი გამოვიდა.

**ქართული წარმოდგენა.** დღეს, 31 მარიამობისთვეს, ხარფუხის საზოგადო კლუბში გაიმართება ქართული წარმოდგენა. წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.

**წელს ერთმა ქართველმა,** არჩილ გულისაშვილმა წარჩინებით გაათავა პეტროგრადის პოლიტეხნიკუმი, მიიღო დიპლომი პირველ ხარისხისა ინჟინერ მეტალურგისა და გაიგზავნა პერმის გუბერნიაში, რომ ააშენოს იქ ქარხანა და ლუმელი ახალი ნივთიერების „ვოლფრამის“ გამოსადნობად.

**ქუთაისი.**

— ქუთაისის ქალაქის სანიტარულ ექიმად დაინიშნა სმიცკის სანატორიის ყოფილი უფროსი ექიმი ა. დ. მაჭავარიანი.

— ქალაქის სანიტარული კომისია ყოველ დღე ათვალიერებს სხვა და სხვა რესტორანებსა და სასადილოებს, ამ სამი კვირის განმავლობაში დაათვალიერეს და გასაფთხილებელი უწყებები ჩააბარეს 1500-მდე მოვაჭრეს და ორმოცდა-ათამდე ოქმი შეუყენესა.

**ხონი.**

დიდი ლოდინის შემდეგ, როგორც იყო გამოაკრეს ნიხრის ფურცლები. ნიხრს მხოლოდ ერთი თვის ვადა აქვს. ნიხრის მიხედვით მეორე ხარისხის პური უნდა გაიყიდოს 27 კაპ., მესამე—24 კ. ხორცი გირვანქა 30 კაპ. თავი შაქარი გირვანქა—22 კაპ., დაფქული—20 კაპ. ნავთი ფუთი—2 მან. 10 კაპ., გირვანქა კი 6 კაპ. ფუთი მარილი 120 კაპ. საკვირველია თუ რისთვის ფართლეულობაზე არ ადგენენ ნიხრს. საჭიროა იმათზედაც რომ დაადგენდნენ ნიხრს.

— დიდი გვალვების შემდეგ აქ მოვიდა წვიმა, რომელიც ძლიერ სასარგებლოა მოსავლისათვის.

— აქ აცხობენ უვარგის პურს, რომელსაც მეორე ხარისხის პურად ასაღებენ.

— ქუთაისის სამოსწავლებლო სემინარიაში გამოცდა დასრულდა 27 მარიამობისთვეს. სწავლა დაიწყება 5 ენკენისთვიდან.

— ვაკეთა გიმნაზიასთან არსებულ მშობელთა წრე იწვევს გამოცდილ ქართული ენის მასწავლებელს, რომელსაც მიეცემა წელიწადში 1260 მანეთი.

— მთავრობის განკარგულებით ხონში დაკეტეს დროებით ყველა სამიკიტნოები.

# ნ ო ბ ა თ ი

**რაბინდრანათ ტაგორედან**

## ნამგალა მთვარე

(გაგრძელებ. იხ. „საქარ.“ № 192)

**მსაჯული.**

ვინც რა გინდათ, ისა სთქვით, მხოლოდ ჩემი პატარას ნაკლი კი მე თვითონ ვიცი.

იმიტომ კი არ მიყვარს, რომ კარგია, არამედ იმიტომ, რომ ჩემი ბავშვია.

რას მიხვდებით, რამდენად ძვირფასია ჩემთვის, როდესაც მის ღირსება-ნაკლოვანებაზე მსჯელობთ და ბაასობთ?

ოდეს იძულებული ვარ დავსაჯო, მით უმეტეს შეადგენს ის ჩემი მთლიანის ნაწილს.

და ოდეს ავაცრემლებ, მასთან ერთად იღვრება ჩემი გულიც.

მხოლოდ მე ერთსა მაქვს მისი განსჯისა და დასჯის უფლება: და მისი დასჯის უფლება მხოლოდ მასა აქვს, ვისაც უყვარს იგი.

**სათამაშოები.**

ბავშვო, რა ბედნიერი ხარ, როდესაც მტვერში ზიხარ მთელ დილას და მოტეხილი შტოთი თამაშობ.

გულს მივსებენ სიხარულით შენი გართობა და მწვანე შტო.

ჩემ ანგარიშებში ვარ გართული. მთელი საათობით ვითვლი ფულებს.

მომაშტერდები და ადვილი შესაძლებელია, ფიქრობ:

„რა სულელური თამაშით იზხამავს დილას და იმწარებს სიცოცხლეს?“

დამავიწყდა, ჩემო ბავშვო,—ველარ მართობენ ეგ მწვანე შტონი და თიხის გუნდანი.

სულ სხვა გასართობი მოვიგო[...] ჩემთვის—თავს ვუყრი ჩემს საუნჯე[...] ოქროსა და ვერცხლის ზოდებს.

უველაფრით სასიამო თამაშს შე[...] რაც კი მოგხვდება ხელში, ხოლო იმაზე ვხარჯავ დროს და ძალღონ[...] რასაც ვერასოდეს ვერ მივიღებ.

დამჭკნარ ფოთლის კანჯოთი მინ[...] გადაცურო სურვილთა ოკეანე და მა[...] წყდება, რომ ესეც გართობაა.

**ვარსკვლავთმრიცხველი.**

მხოლოდ ესა ვსთქვი: „ნუთუ ვ[...] რავინ შესძლებს პირსავსე მთვარ[...] დაჭერას, როდესაც კადამის შტოებ[...] გაებმევა ღამით“?

დედემ*) სიცილი დამაყარა და მ[...]

„პაწია, შენისთანა სულელი ბა[...] შვის მნახველი არა ვარ ჩემს სიცო[...] ხლეში! ძლიერ შორსაა მთვარე, მი[...] წვდომელია ჩვენთვის და აბა ვინ შ[...] სძლებს მის დაჭერას?“.

მე მაინც ჩემსას გავიძახოდი:

„დედი, მე კი არა, შენა ხარ ს[...] ლელი! როდესაც სარკმელში თავს გ[...] მოჰყოფს დედა და გვიღიმის, იქნე[...] ამაზეც სთქვა, რომ მიუწვდომელ[...] ჩვენთვის დედაო?“

დედემ კვალად მომიგო:

„რა სულელი ბავშვი ხარ! ყური დ[...] მიგდე, რას გეტყვი, პაწიავ: სად ნახ[...] იმ სიდიდის ბადეს, რომ მთვარე გ[...] აბა შიგ?“

ჩემი პასუხი ასეთი იყო:

„ავდგეთ და ჩვენც პირდაპირ ხ[...] ლით დავიჭიროთ!“ ხოლო დედეს ს[...] ცილი აუტყდა ჩემს სიტყვაზე და მ[...] პასუხა:

„ყველა ჩემ ნაცნობ ბავშვებზე ს[...] ლელი ხარ! სწორედ მაშინ იხილავდ[...] მის სიდიდეს, რომ შესძლებოდა მთვ[...] რეს ჩვენამდე მოახლოვება“.

მე მაინც ჩემი ვუთხარი:

„დედი, რა სისულელეს გასწავლი[...] სკოლაში?! აბა, ამიხსენი რამხელ[...] გგონია მშობლის სახე, როდესაც ჩვე[...] საკოცნელად დაიხრება ხოლმე?“ დე[...] დემ მაინც გაიმეორა:

„სულელი ბავშვი ხარო!“

გ. მუმლაძე.

(შემდეგი იქნება)

ლეთის მთავრობის ნებართვით გაიმართა სომხთა სახალხო ყრილობა, რომელმაც შეიმუშავა ეგრედ წოდებული **„სომეხთა ეროვნული კონსტიტუცია“**, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ დაამტკიცა და უმალვე ძალაში შევიდა. ამ კონსტიტუციის ძალით ოსმალეთის სომეხთა სასულიერო და სამოქალაქო მართვა-გამგებლობა ორს საბჭოს აქვს მიკუთვნილი. ერთია **სასულიერო საბჭო**, რომელიც შესდგება 14 წევრისაგან; ამ საბჭოს კონსტანტინოპოლის პატრიარქი თავმჯდომარეობს. მეორეა **საერო საბჭო**; იგი შესდგება 20 წევრისაგან, რომელთაც ირჩევს სომხის სოფლის საზოგადოებათა 400 წარმომადგენელისაგან შემდგარი საკრებულო. ამ ორის საბჭოს სახით, რომელიც საარჩევნო პრინციპზეა აგებული, ოსმალეთის სომხობას ხელში ჰქონდა ეროვნული ორგანო, რომელიც თავს უყრიდა ოსმალეთის სახელმწიფოს ფარგალში მოქცეულ სომხებს, მათ აერთებდა და რაზმავდა ანსაზღვრულ ეროვნულ-კულტურულ და პოლიტიკიურ იდეალების გარშემო. დიდი განძი იყო სომხის ერისთვის ეს **სომეხთა ეროვნული საკრებულო**, რომლის ოთხასი წევრი პერიოდიულად თავს იყრიდა, ბჭობდა სხვა და სხვა ეროვნულ საქმეზედ და ითვალისწინებდა როგორც პრაქტიკულ ღონისძიებას ეროვნულ ტკივილების მოსაშუშებლად, ისე სომხის ერის მომავალის პერსპექტივებს. დიდი განძი იყო სომხის ერისთვის ეს სასულიერო და საერო საბჭოები, რომელთაც ნებადართულად შეეძლოთ ზრუნვა სომხის ერის რელიგიურ და სამოქალაქო მოთხოვნილებებისთვის. რაც გინდ ნაკლიანი ყოფილიყო სომეხთა ეროვნული კონსტიტუცია, რაც გინდ კომპეტენცია შეზღუდული, იგი მაინც ნებადართული თავშესაფარი იყო ოსმალეთის სომხობისთვის. რაც გინდ უვარგისი და ცალმხრივ-წოდებრივი ყოფილიყო **სომეხთა ეროვნული საკრებულო**, იგი მაინც ერთგვარი ღუზე იყო, რომლის გარშემო თანდათან სხეულს ღებულობდა სომეხთა კულტურული საქმე და ეროვნული ზრახვა-მისწრაფება.

აი ამ ორი წლის ბრძოლის თავზე ოსმალეთის მთავრობამ იერიში მიიტანა ოსმალეთის სომხობის საერთო პოლიტიკურ-კონსტიტუციურ და ეროვნულ უფლებებზე. ოსმალეთის მთავრობამ მოსპო ოსმალეთის სომხობის დამოკიდებულება ეჩმიაძინის კათალიკოზისაგან. ამ აქტით განიპო სომხის ეკლესიის მთლიანობა. ოსმალეთის სომხებისა, მოაგონდა **სომეხთა ეროვნული კონსტიტუცია**, რომელიც ნახევარი საუკუნის სიგრძეზე სომეხთა ცხოვრების მოწყობას უფლებრივ ნორმად ჰქონდა გადაქცეული; მოაგონდა და... გული დასწყვიტა ამ დიდი ნაამაგდარი უფლების დაკარგვამ. ბუნებრივია, სრულიად ბუნებრივი.

ხ. ქ.

მ შო ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომერში უკვე გვქონდა მოხსენებული. გამგეობის მოხსენების შემდეგ კრებას მოხსენდა სარევიზიო კომისიის მოხსენება. ბ.ბ. კ. მაღალაშვილის, ესტ. ქავალიშვილის და სოფრ. ტარუაშვილის ხელმოწერილი. სარევიზიო კომისიის აზრით კოოპერატივის უმთავრეს ნაკლად უნდა მიჩნეული ყოს ის გარემოება, რომ გამგეობას დღიდან თავის მოქმედებისა არა ჰქონია გარკვეული მოქმედების გეგმა, არა ჰქონია კოლეგიალური მოქმედება, თვითეული გამგეობის წევრი სხვის დამოუკიდებლად განაგებდა საქმეს, რაც უმთავრეს მიზეზად უნდა ჩაითვალოს ზემოაღნიშნულ ზარალისა. გამგეობა უნდა იყოს საქმის საერთო ხელმძღვანელი, რასაც თავის დადგენილებებში გამოხატას, გამგე კი ამსრულებელი მხოლოდ კოლეგიალურ დადგენილებისა და არა გამგეობის რომელიმე კერძო წევრის სურვილისა. დასასრულ თვის მოხსენებისა სარევიზიო კომისია აღნიშნავს, რომ „მეურნეს“ ანგარიშების საწარმოებელი ფორმა საქმისთვის გამოსადეგი და სამაგალითოა, საჭიროა მხოლოდ მათ წარმოებაში მეტი სიმტკიცე და სისრულე. თვით წარმოდგენილი ანგარიში სრულებით ეთანხმება, როგორც დავთრებს, ისე საქმის ნამდვილ მდგომარეობას, რომელიც მიღებული უნდა იქმნას, როგორც ცნობები „მეურნის“ გამგეობის მოქმედებისა და დასამტკიცებლად კი წარმოდგენილი იქნება მორიგ კრებაზე სრული წლიური ანგარიში. ამ მოხსენებას მოჰყვა განმარტება გამგეობისა სარევიზიო კომისიის მოხსენებაზე. გამგეობის აზრით გამგეობას ყოველთვის გარკვეული ჰქონდა მოქმედების გეგმა. გეგმა რომ არ ყოფილიყო, 2 თვეზე როგორ მოეწყობოდა ანგარიში, უგეგმოდ რომ ემუშავნათ ბანკებში ნდობას ვინ გაგვიხსნიდაო სწერს გამგეობა და მიზეზად იმ დეფექტებისა, რომელსაც სარევიზიო კომისია უთითებს, მისი აზრით ისაა, რომ ომის საერთო მო-

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ამ სამი დღის განმავლობაში არსად არც ერთ ბრძოლის ველზე, მდგომარეობა თვალსაჩინოთ არ შეცვლილა. ყველგან ერთის ტემპით ადგილობრივ ხასიათის შეტაკებები სწარმოებს და ჯერაც არ შეიძლება ითქვას, თუ რას უპირებენ ერთი მეორეს მოპირდაპირენი და ან როდის შეეცდებიან მთავარ გენერალურ ბრძოლის გაჩაღებას. ვერც რუმინეთის გამოსვლამ იქონია არსებითი გავლენა ომის ასპარეზზე. უკვე რამოდენიმე კვირაა, რაც ახალი მოკავშირე მებრძოლ სახელმწიფოებს ამოუდგა გვერდში, მაგრამ მისმა გამოსვლამ მოკლე ხანში მაინც ვერ აიძულა ცენტრალური სახელმწიფოები შესაფერისად გაენაწილებინათ თავიანთი ძალები და არსებითი ცვლილება მოეხდინათ თავიანთ სამოქმედო გეგმაში. ამავე დროს ბალკანეთის სამხედრო ნაწილი, საზოგადოთ სალონიკის მიდამოები თითქოს უფრო მიყუჩდა და დღევანდლამდე არაფერი ვიცით რა ხდება იმის შემდეგ, რაც ბულგარელებმა იერიშები მიიტანეს და ერთხანად ბრძოლაში ჩაითრიეს მოკავშირეების მთავარ სარდალი სარაილი. უფრო საკვირველია სარაილის მოქმედება სწორედ აი ახლა, როდესაც ბულგარელები და გერმანელები რუმინეთს შეესივნენ და მდ. დუნაის ნაპირების დაპყრობას ლამობენ. შესაძლებელია იგი მეტად შეფიქრიანებულია საბერძნეთის მოქმედებით ვერ იქმნა ამ სახელმწიფომ გარკვეული პოზიცია ვერ დაიკავა და დღესაც ისეთ რყევაშია, რომ არავის ძალუძს დარწმუნებით სთქვას, თუ რომელ მოპირდაპირის წინააღმდეგ აღიპრობს თავის მახვილს. უეჭველია ეს უნდა იყოს მთავარი მიზეზი სარაილის უმოქმედობისა. შეიძლება გენ. სარაილი რუსის ჯარის მოლოდინშიაც არის და რაწამს დობრუჯით ბულგარეთის წინააღმდეგ შეტევას დაიწყებს, თვითონაც დაიწყოს ოპერაციები და ორივე მოკავშირეებმა შეთანხმებულად იმოქმედონ. გუშინდელ და იმის წინ მოსულ დეპეშების მიხედვით რუმინეთის ჯარი ჩრდილოეთის ასპარეზზე მდ. მაროშის მიდამოებში გადასულა და ფართო მოქმედება დაუწყვია. უეჭველია აქ ბრუსილოვის არმიის მარცხენა ფრთა დიდ დახმარებას უწევს რუმინელებს და საშუალებას აძლევს გაბედულათ აწარმოონ ოპერაციები. სამხრეთ ბრძოლის ველზე, რუსეთის და რუმინეთის ჯარები უკვე შეერთებულან და ბულგარელებზე იერიშიც მიუტანიათ. ცხადია ახლა დიდი შეტაკებები დაიწყება დობრუჯში, რასაც ადვილი შესაძლებელია მოჰყვეს მთავარ ასპარეზზედაც ამოქმედება.

დასავლეთის ასპარეზზე ბრძოლას ისევე ადგილობრივი ხასიათი აქვს. რუსეთის ასპარეზზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი, 27** მარიამობისთვე. ოფიციალი. მთავარი სარდლის შტაბისაგან. გალიჩის მიმართულებით მდ. ნარაიუკაზე უკუ ვაგდეთ გერმანელებისა და ოსმალების იერიშები. ამ მიმართულებით დაწყებული მკაცრი ბრძოლა ჯერ არ შეწყვეტილა. ტყიან კარპატებში, ნარანოვის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა მთელი რიგი მაღლობები დაიჭირეს, ტყვედ ხუთასი კაცი წამოიყვანეს, და წამოიღეს 5 ტყვიის მფრქვეველი, მთის მომქმედი ბატარეა და რამდენიმე ზარბაზანი, რომელიც მტეოს ხრამში გადაუყრია.

**კავკასიის ფრონტი.** სოფელ ოგნოტას რაიონში დაწყებული მედგარი ბრძოლა არ შეწყვეტილა.

**შავი ზღვა.** 25 მარიამ. ჩვენმა ნაღმოსნებმა ზარბაზნები დაუშინეს ბალჩიკის ნავთსადგურს, რომელიც ბულგარებს ეჭირათ. თანაც 21 ხომალდი ჩასძირეს, რომელთაც ამავე ნავთსადგურში ბულგარები პურით ტვირთავდნენ. ნაღმოსნებს თავს დაესხნენ

ერთხელ მოვტყუვდი—ნება დამრთეს... მეც ეს ჩემთვის სასურველი ფირმანი ავგაროზივით ჩავიდევი ჯიბეში და გადავწყვიტე: „მამიდაც მენახა და კვიციც გამეხედნა“, ჩემი მამიდა აგარაკი ბახმარო იყო, კვიცი კი ჩემი ბებერი ფეხები: მეც გადავწყვიტე გადამელახა გურია-აჭარის მთები და ისე ჩავსულიყავ ხულოში, აქეთობას კი დავბრუნებულიყავი გზა-ტკეცილით ბათუმიდან. 9 აგვისტოს საღამოს ჟამს ოზურგეთიდან გავყევი ბახვის დილიჟანს... ერთი ღამე უნდა დავრჩენილიყავ ვაკიჯვარში და მით მეორე დღის გასავლელი გზა 5 ვერსით შემემოკლებინა, მაგრამ ვაკიჯვრელები სტუმართ-მოყვარეობით ზამთარში არიან ქებულნი, ამიტომ ღამის გათევა ვამჯობინე ისევ ბახვში. აქ მყავს მეგობრები სამი ძმა—სამივე მასწავლებელი. სამივეს ერთად შეუძლია იდღესასწაულოს მასწავლებლად ნამსახურობის 80 წლის იუბილეი, ამ ხნის განმავლობაში კი სამივეს იმდენი ქონება შეუძენია, რომ მე ერთად ერთი სტუმარი სასიმინდეს ჭერზე მომათავსეს, ორ პატარა ოთახში კი თვრამეტი სული იყო შეფარებული... იქვე ამავე მასწავლებლების გამოზრდილებს, მაგრამ მათზე უფრო პრაქტიკებს — ნოქრებს—ორ-სართულიანი სასახლეები აქვთ. ყველაფერს უნარი უნდა... ჩემს მასპინძელს—უფროს ძმას, ანეგდოტებითა და მასლაათით ქებულს, ძლიერ უნდოდა მთელი ღამე გავერთე, მაგრამ ადრე ჩამეძინა და დილის 4 საათზე ნალიის (სასიმინდის) საცალფეხო კიბე უვნებლად ჩამოვიარე და მთვარით გადაკიანთებულ ვაკიჯვრის გზას შევუდექი. გავიარე მყუდრო ძილს მიცემული სოფ. ვაკიჯვარი. გათენდა, მზემ ყური ცქვიტა და მეც შევუდექი მთის აღმართს... დამეწივნენ ვაკიჯვრელი ჩალვადრები მარქაფა ცხენებით მოაგარაკეთა ბახმაროდან წამოსაყვანად მიმავალები... ვიცი ვაკიჯვრელების „გულკეთილობის“ ამბავი, მაგრამ მაინც ვცადე შევაპრება; მეგონა მარქაფა ცხენს მათებურ ნიხრზე ნაკლებ დამითმობდა, მაგრამ ვაკიჯვრელი „პრინციპის“ ჩალვადარი გამოდგა და ასე მიპასუხა:

— პრინციპით 7 მანეთი ღირს, მაგრამ შენი ხათრისათვის 5 მანეთად წაგიყვან და გზაში კიდევ სადილი შენ უნდა მაჭამოო. ვამჯობინე ვაკიჯვრელის „პრინციპი“ (ტყავის ძრობისა) არ შემელახა და ის მისი პრინციპით და მე ჩემი ფეხებით ავსულიყავი ბახმაროზე. მე და ჩემი კეთილის მყოფელი ვაკიჯვრელი (რომლის მეოხებით მე შემრჩა ჯიბეში 6 მან.) ბახმაროზე ერთად ავედით. მართალია ვაკიჯვრიდან ბახმარომდე 10 საათის გზაა, მაგრამ მთის სალი ჰაერი იმდენზე მოქმედებს, რომ მთისკენ მიმავალი დაღლილობას ვერა გრძნობ. შუადღის 12 საათზე უკვე სომლიაზე ვიყავი, აქ არის სასვენი ადგილი, აქვე ვაჭრობს ერთი მედუქნე—ბახმაროზე ამომსვლელ-ჩამომსვლელი აქ სადილობს. იმ დღესაც ბევრი შემხვდა ბახმაროდან მომავალები, ზოგი ცხენით და ზოგიც ფეხით. სანოვაგის სიძვირე აქაც საზღაპროა. ბევრი მოაგარაკე სწუხს, რომ მშვენიერი დარები დატოვა და ბარში მიდის, მაგრამ ამის მიზეზად ასახელებს ბახმაროზე სანოვაგის შემოლევას. მივედი ბაისურას და

„დავინახე ძირს ბახმარო,
ყვავილებით მოქარგული,
საუცხოვო რამე იყო
და მეც ამიტოკდა გული“.

შეუძლებელია, მკითხველო, აქედან კეკლუც ბახმაროს, ქოჩორა მთების შორის პატარა ქალაქს გადახედო და გულმა სიამე-შვება არ იგრძნოს. მართალია აქედან ბახმარომდე საათნახევარი კიდევ უნდა, მაგრამ ის ისე ახლო და მიმზიდველად მოსჩანს, რომ ფრთებს გასხამს, გახალისებს, თავისკენ გეპატიჟება—„ნეტამც თუ იყოს ღვთისა ქმნილება გჭვრეტდეს—არ იგრძნოს მან ნეტარება“.

და მეც ბუნების სილაღით გამხნევებული ვძლევ დაღლილობას და შუადღის სამ საათზე საზოგადო სასადილოში მადიანად შევექცევი სადილს. ბახმარო სანახევროდ დაცარიელებული დამხვდა, ვინც დამხვდა, ისინიც წასასვლელად „ფხარ აწყობილი“. წელს ბახმაროს აუარება მოაგარაკენი მოაწყდა თურმე, მაგრამ ზოგ ორი თვის ნაცვლად 10—15 დღე დარჩა. მიზეზი ისაა, რომ უმეტესობას ფული შემოელია, რადგან მოულოდნელმა ხარჯებმა ბახმაროზე ასვლამდი ტყავი გააძრო: ზოგი ნატანებში (რკინის გზის სადგურია) უეტლობის გამო 3—4 დღე დარჩა, ეტლი იშოვნა, 4—5, ჯერ მეტი წაგლიჯა. მერე ოზურგეთიდან ვაკიჯვრამდე მეეტლეებმა კიდევ ასწაპნეს, მერე ვაკიჯვრელებმა მოუთავეს და ასე ამ რიგად მოაგარაკე ბახმაროზე მსუბუქი ჯიბით ავიდა, იქ კიდევ სიძვირე ყველაფრის და რაღა საკვირველია, თუ ის ვისაც ასობით არ ჰქონდა ატანილი (ან ვინც ვინმე სიხარულიძესავით ფულის ამოსატანად ისევ სოფელში არ გარბოდა) ადრე აიკრა გუდა-ნაბადი.

ორი წელიწადია, რაც ბახმაროზე არ ვყოფილვარ. ამ ხნის განმავლობაშიაც კი ბევრი სახლები მომატებია, ყოველი მხრით გაზრდილა, მახსოვს ის 15—20 წლის წინად 600—800 სულს იტევდა. წელს კი შვიდი ათასამდეც ყოფილა. გაზრდილა, მაგრამ კი არ გამშვენიერებულა, ხალხის ჯანმთელობის ხელის შემწყობი ახალი არაფერი მომატებია.

მაგონდება ამ 15 წლის წინად მოაგარაკეთა კრებაზედ ერთი თავადი ამტკიცებდა: ძროხის ნეხვისაგან გაწმენდა ბახმაროს არ სჭირია, რადგან ფუნა რომ ადამიანს სწყენდეს მეგრელი მეჯოგეები რათ არიან ჯანმრთელებიო. ამაზე ერთმა მოსწრებულად უპასუხა: ფუნა თუ წამალია, აფთიაქებში რატომ არ ჰყიდიანო! სჩანს თავადის აზრისა ბახმაროზე უფრო მეტია, ვიდრე მისი ოპონენტის. წელს ბახმაროზე ბევრს სანიტარები (ღორები) წამოეყვანა და არ ვიცი მოაგარაკენი ამ უსასყიდლო სანიტარების წინააღმდეგ რათ წავიდნენ და რისთვის დაადგინეს მომავალში არავინ ამოიყვანოსო... ზოგს კრუხ-წიწილები წამოეყვანა და დაზარდა და შინ წაიყვანა ერთი სიტყვით ბახმარო რაღაც თავისებური აგარაკია, ვისაც როგორც ესურვება ისე იქცევა. ბევრი აქ საჰაეროთ კი არ ამოდის, არამედ ითამაშოს და ფული მოიგოს, ზოგიც ღვინისა და არაყის სმით იმ ჯანმთელობასაც ჰკარგავს, რაც აქ ამოჰყვა. წელს ბევრს ასახელებენ ისეთ პირებს, რომლებსაც ასობით და ათასობით წაუგია ბანქოში... რაკი ამ უმსგავს ჩვეულებას არ იშლიან, უმჯობესია ოზურგეთის საკრებულოს საავარაკო განყოფილება გაიხსნას და იქ ითამაშონ და ოჯახებში სხვები აღარ შეაწუხონ და გარყვნან.

ერთად ერთი კულტურული გასართობი ბახმაროს მოაგარაკეთათვის არის კეკელბანი (კეგლი) და თეატრი, მაგრამ ეს უკანასკნელი მომსვლელ არტისტებისათვის მიუწდომელია, რადგან გამგეობა ქირად იღებს 40%, მოგახსენებენ, რომ ასეთი უდიერი ფასი არსად არ არსებობსო... ყველა, ვინც-კი ბახმაროს სიცოცხლის მომნიჭებელი ძალა ერთხელ იგემა ყველა ერთხმად აღიარებს, რომ კავკასიაში მას სხვა აგარაკი ვერ შეედრება, მაგრამ უგზოობა და მოუწყობლობა მის მშვენიერებას ყოველივე ლაზათს უკარგავს. სამი დღე დავრჩი, ამ სამ დღეში ბახმარო მოაგარაკეთაგან სულ დაიცალა. გავეშურე ჩემს აღთქმის ქვეყანა-აჭარაში.

აპ. წულაძე.

(შემდეგი იქნება).

# სპორტი

**(ფრანგული ჭიდაობა)**

მე-72 დღე ფრანგული ჭიდაობისა.

**პირველი წყვილი**

გამოჩენილ ფალავანს, სპორტსმენს და ავიატორს ი. ზაიკინს დღეს პირველად შეხვდა ფალავანი „შავი ნიღაბი“. ჭიდაობა ყოველმხრივ საინტერესო იყო. როგორც ზაიკინი, ისე „შავი ნიღაბი“ კარგი მოჭიდავენი არიან და არც ისე ადვილი იყო ერთისაგან მეორის დამარცხება. „შავი ნიღაბი“ უფრო მარდად ჭიდაობს და ერთხელაც არ ხმარობს აკრძალულ ფანდებს. სრული ოცი წუთი იჭიდავეს, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს.

**მეორე წყვილი.**

ღონიერ ფალავანს, „შავ აპოლონს“, **ჩემბერს ციპსს** დაეჭიდა ფრანგული ჭიდაობის ტეხნიკი **ალლიკი**, რომელმაც მთელი ჭიდაობის განმავლობაში მრავალი სხვა და სხვა ფანდები უჩვენა ხალხს.

სწრაფი და მოულოდნელი ფანდებით იგი თავბრუს ახვევდა მოპირდაპირეს, მაგრამ უკანასკნელად ღონემ მაინც თავისი გაიტანა და ციპსმა „bras roulé“-ს ხერხით წააქცია ალლიკი.

**მესამე წყვილი.**

ძველთა ძველ ფალავანს ფრანგს **ჟან საბატიეს** დაეჯახა უძლეველი „მსოფლიო ფალავანი“, სიამაყე რუსეთის სპორტისა, **ი. პოდუბნი.** როგორც მოსალოდნელი იყო ჭიდაობამ გასტანა რამოდენიმე ხანი. პოდუბნიმ ხალიჩას მიაკრა პირ აღმა ჟან საბატიე.

**მეოთხე წყვილი.**

საინტერესო იყო უკანასკნელი წყვილი—**ბრონენოსცევი** და **უიბო**. ორივე ლამაზი მოჭიდავენი არიან, ექვემდებარებიან ყოველგვარ კანონებს, ჭიდაობენ უჩხუბრად, სინიდისიერად, ამიტომ მათ ჭიდაობას ხალხი ყოველთვის გულდამშვიდებით უყურებს. რამოდენიმე ხნის კოხტა და მოხდენილ ჭიდაობის შემდეგ უიბო შეიქმნა მსხვერპლი ბრონენოსცევისა.

გამოჩენილი მოჭიდავე ინდოელი **საიდ კრახუტა**, რომელიც სძლია ი. ზაიკინმა, კვლავ იწვევს ზაიკინს საჭიდაოდ, რასაც ზაიკინი ჯერ-ჯერობით არ თანხმდება.

გენო.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**


**ამიერ-კავკასიის რკ. გზა.**

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . | 7 „ | 58 „ | საღ. |

**ჩაქვის საუფლისწულო მამული**
(სადგური ჩაქვა. ამიერ კავკ. რკ. გზა)

**აძლევს იჯარას**

300 კუბიკური საჟ. შეშის დასაჭრელად და მოსატანად იმავე მამულში შეშის მოჭრა შეიძლება აკუთარს ტყეში ამავე მამულიდან 4 ვერ. სიშორეზე. არის გზა, ნახევრად ნაკეთები.

შემდეგისთვის ყოველ წლივ გაიცემა 400 კუბიკურ საჟენის შეშის იჯარა ტყის დათვალიერება ყოველთვის შეიძლება.

ყოველივე პირობა კუბიკურ საჟენის ფასის აღნიშვნით უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით: ст. Чаква (Зак. Ж. Д.) Управленіе Чаквинским Имѣніемъ.

(3—236—1)

**შეშის საწყობი**
**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**
ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
**უკლებლივ ხელმისაწვდომ ფასზე**
**საკუთარი ტყიდან**
**საწყობს აქვს გადასხიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**
(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ვაჭრობისა და მეწველობის სამინისტროს უფლებაში მყოფი
**კომერციულ ცოდნათა**
**კ ურ ს ე ბ ი**
**ქ. მ. ფილოიანისა**
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)
თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიიღებთ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
(20—231—2)

**მანგლისის გზაზე, თბილისიდან 23—25 ვერსის მანძილზე, იყიდება 300 დესეტინამდე**
**რცხილის ტყე მოსაჭრელად და სანახშირედ.**
იმავე მამულში ეძებენ
**მერძეობის, მეურნეობის მცოდნე მოჯიარეს,**
რომელსაც უნდა ჰყავდეს ასამდე მეწველი ძროხა.
დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება მამულაშვილის ფართლეულობის მაღაზიაში, სომხის ბაზარი, მანთაშევის ქარვასლა № 20—22.
(10—224—4)

**გამოვიდა და იყიდება**
**კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში**
(ქუთაისში)
რუსული ენის პირველდაწყებითი სახელმძღვანელო „Новое Слово“ ნაწ. I, მეორე გამოცემა უხვად დასურათებული, შედგენილი ხ. ოცხელის მიერ. ფ. ფასი 2 აბაზი.
ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“) თანაგრძნობით შეხვდა.
პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდილების შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „Новое Слово“-თ სწავლებით მოწაფეები არაჩვეულებრივი ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას.
სასწავლო ოლქმთავარის ნაწრთობელის რჩევის დადგენილებისა ავტორს აცნობა ოლქის რწმუნებულის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народнихъ школъ“.
(თ.—225—4)

**თევზის მრეწველნი**
**ძმ. ძეგველოვები**
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.
ყოველ დღე მიიღებს საკუთარ და სავაჭრო სახლ. „დ. მაილოვის-შვილთ, სარეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „ზერნისტი“ ხიზილა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმების ხანგრძლივ ინახება.